თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

MES 0 20 0000915305

30/09/2020

ახალი კორონავირუსის (SARS-COV-2) გავრცელების პრევენციის მიზნით,
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა
ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N124/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის საფუძველზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული N38 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“ საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით, რაც გულისხმობს:

ა) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, კერძოდ, სამედიცინო (ქირურგიული) ნიღბის სავალდებულო გამოყენებას;

ბ) უსაფრთხო სოციალური დისტანციის დაცვას;

გ) ჰიგიენის წესების რეგულარულ და საფუძვლიან დაცვას, რაც გულისხმობს ხელების ხშირ დაბანას; ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი, სადეზინფექციო, ხელის გამწმენდი სითხე.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 11 იანვრის N23/1 დადგენილებით დამტკიცებული შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - საყვედურის გამოცხადებას.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს.

4.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დასაქმებულთა ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 08 აპრილის N333431 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (გ.ჭიჭინაძე) ამ ბრძანების თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

7. ბრძანება დაეგზავნოს: უნივერსიტეტის კანცლერს, ვიცე-რექტორებს, კანცლერის მოადგილეებს, რექტორის აპარატის უფროსს, კანცლერის აპარატის უფროსს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი